შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1.სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი-**3,30 ნიშნულზე)**
2.დამხარე ჯგუფი - დს (დამხმარე სათავსი მექანიკური მოწყობილობებისათვის) **(-3,30 ნიშნულზე)** სახანძრო ტუმბო, წყლის რეზერვუარი;
3.სავაჭრო ჯგუფი **სვ** (საცალო და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიები, მრიცხველების ოთახი; ხანძრის მართვის ცენტრი **+/-0.00=539,40** ნიშნულზე)
4.საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1** (სასტუმროს ნომრები) **+4,50 ნიშნულზე**
5.საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2** (საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) (**+4,50 დან + 50,70 ნიშნულებზე)**

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	**I- A**

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2**	შეუზღუდავი	**1**
სავაჭრო ჯგუფი **სვ**	შეუზღუდავი	**1**
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1**	შეუზღუდავი	**1**
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2**	შეუზღუდავი	**15**
დამხარე ჯგუფი - **დს**	შეუზღუდავი	**1**
	დასაშვები სიმაღლე	**შემოთავაზებული სიმაღლე**
შენობის სიმაღლე =	**შეუზღუდავი**	**56,40 მ. (მიწის დონის ნიშნული 539,58)**
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =	**16 სართული მიწის დონის ქვემოთ 1 სართული სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან 50,52მ**	

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი (სართულზე)**	**შემოთავაზებული ფართობი**
სასაწყობო ჯგუფო **სწ-2**	**შეუზღუდავი**	**1358,0კვ.მ**
სავაჭრო ჯგუფი **სვ**	**შეუზღუდავი**	**978.6 კვ.მ**
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1**	**შეუზღუდავი**	**385.9 კვ.მ**
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2**	**შეუზღუდავი**	**9786.1 კვ.მ**
დამხარე ჯგუფი - **დს**	**შეუზღუდავი**	**107.4 კვ.მ**
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	**12616.0 კვ.მ**	
სართულების რაოდენობა =	**17**	
შენობის საერთო ფართობი =	**14207,6კვ.მ**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
				დასაშვები			**გათვალისწინებული**		
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი
1’-6 ღერძებში (საზ. გზა)	24,45	0	2			შეუზღუდავი			-
დ-ა’ ღერძებში	0,25 -1,21	2 2	2 2			დაუშვებელია			0%
6-1’ ღერძებში	18,99 -16,13	0 0	2 2			შეუზღუდავი			-
ა’-დ ღერძებში	4,19 -1,18	1 2	2 2			15%			11,1% 0%

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები /სივრცეები /განსაკუთრებული საშუალებები	ავტოსამზეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილსადენების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საევარიო განგაშის სისტემები
სასაწყობო ჯგუფი **სწ-2**	კი	-	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი 3. საევარიო განათება 4. სახანძრო სიგნალიზაცია	კი	კვამლის მექანიკური გაწოვა	კი	-
სავაჭრო ჯგუფი **სვ**	კი	-	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი 3. საევარიო განათება 4. სახანძრო სიგნალიზაცია	კი	-	კი	-
დამხარე ჯგუფი **დს**	-	კი	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2. საევარიო განათება	-	კვამლის მექანიკური გაწოვა	-	-
საცხოვრებელი ჯგუფი **სც-1**	კი	-	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი; 2. კვამლზე მორეაგირე მოაუწყებელი	-	-	-	-
საცხოვრებელი ჯგუფი **სც-2**	-	-	1. კვამლის ავტომატური აღმომჩენი; 2. კვამლზე მორეაგირე მოაუწყებელი	-	-	-	-
კიბის უჯრედი	-	-	1. სახანძო დანაყოფთა ორმხრივი კავშირი 2. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი 3.სახანძრო სიგნალიზაცია 4. საევარიო განათება	-	კი მექანიკური განიავება	-	-
ლიფტები	-	-	-	-	კი ლიფტები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სიტემით	-	-
დერეფანი	-	-	1.კვამლის ავტომატური აღმომჩენი 2.სახანძრო სიგნალიზაცია 3. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი 4.საევარიო განათება	კი	კვამლის მექანიკური გაწოვა	კი	-
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				მისაერთებელი - კი ჰიდრანტი - კი			
სახანძრო ტიმბოები და წყლის რეზერვუარი განთავსბულია -3,30 ნიშნულზე				ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები			

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/ სივრცეები/ გასასვლელი საშუალებები	**ბუნებრივი განიავება**	**მექანიკური განიავება**
სასაწყობო ჯგუფი **სწ-2**		კი
სავაჭრო ჯგუფი **სვ**	კი	კი
დამხარე ჯგუფი **დს**		კი
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1**	კი	კი
საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2**	კი	კი
კიბის უჯრედი		კი
ლიფტები	-	კი
ლიფტის შახტა		კი
დერეფანი	-	კი
გზა კიბის ვესტიბიული		კი

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება 1021, 1022									
სართულები	**დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი**	**მოთხოვნილი გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა**	**გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი**	**გასასვლელი საშუალებების სიგანე** (მეტრი)					
				გზა-კიბეები		**დერაფანი,**		**გასასვლელის გზა-კარი**	
				მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**მოთხოვნილი**	**გათვალისწინებული**	**მოთხოვნილი**	**გათვალისწინებული**
მიწის დონის ქვედა სართული -3,30 ნიშნული	**სწ-2 (დ.დ -73) დს (დ.დ -2)**	**2**	**2** შიგა გასასვლელის გზა-კიბე	**1,10** (თითო)	**1,20** მოაჯირებს შორის (თითო)			**0,82** (თითო)	**0,82** (თითო)
მიწის დონის სართული +/-0.00 ნიშნული	**სვ (დ.დ -350)**	**2**	**13** შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარი	-	-			**0,82** (თითო)	**0,82** (თითო)
+4,50 ნიშნული	**სც-1 (დ.დ -21)**	**2**	**2** შიგა გასასვლელის გზა-კიბე	**1,10** (თითო)	**1,20** მოაჯირებს შორის (თითო)	**1.20**	**1,45**	**0,82** (თითო)	**0,82** (თითო)
+4,50 დან +50,70 ნიშნული	**სც-2 (დ.დ -526)**	**2**	**2** შიგა გასასვლელის გზა-კიბე	**1,10** (თითო)	**1,20** მოაჯირებს შორის (თითო)	**1.20**	**1,45**	**0,82** (თითო)	**0,82** (თითო)

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დონის ქვედა -3,30 ნიშნულზე	სწ-2 (დ.დ -73) დს (დ.დ -2)	შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1602.3** ქვეთავის მიხედვით საზოგადოებრივი ტუალეტები აუცილებელი არ არის ღია ან შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებში. ტუალეტის მოწყობილობები საჭირო არ არის ავტოსადგომ გარაჟებში, რომელთაც ავტოსადგომის მეთვალყურეები არ ემსახურებიან.											

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა /შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დონის სართული +/-0.00 ნიშნული	სვ (დ.დ -350)	1	6	1	6	-	-	1	6	1	6	-	-

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-საცხოვრებელი ჯგუფი სც-1 ქვეჯგუფი ცხრილი 1602.1-ის მიხედვით											
სართულები	საცხოვრებელი ერთეულები	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ტუალეტის ხელსაბანები (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		აბაზანა/ შხაპი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		სამზარეულოს ნიჟარა (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
+4,50 ნიშნული	სც-1 (დ.დ -21)	1	1	1	1	1	1	1	1	1 (ნომერზე)	1 ნომერზე)

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 ქვეჯგუფი ცხრილი 1602.1-ის მიხედვით											
სართულები	საცხოვრებელი ერთეულები	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ტუალეტის ხელსაბანები (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		აბაზანა/ შხაპი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		სამზარეულოს ნიჟარა (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
+4,50-დან +50,70 ნიშნული	სც-2 (დ.დ -526)	1	1	1	1	1	1	1	1	1 (საცხ. ერთეულზე)	1 საცხ. ერთეულზე)

საექსპერტო დასკვნა

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32
ს.კ 01.19.36.014.422

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის–"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები".

პროექტის ავტორი..... მ. ეფრემიძე;
ექსპერტი..... ს. მაყაშვილი

შენიშვნები

- საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე "შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა დაცვით.
- უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.
- **საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოიცა პროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:**

- პირობითი აღნიშვნები;
- შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა;
- შენობა-ნაგებობის ჭრილები;
- შენობა-ნაგებობის ფასადები;
- კიბის დეტალურინა ხაზები;
- ფასადისა და სახურავის დეტალური ნახაზები;

ობიექტის მისამართი:

ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი:

შ.პ.ს. "ურბან სფეისი"/ მარიამ ეფრემიძე

შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:
"მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.
"ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.
საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა დადაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) ლიფტების შეფასებას;
ნ) შიდა გარემოსადმი მოთხოვნის შეფასება

- **პროექტის ზოგადი აღწერილობა:**

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება) № 6803923 (13/12/2023) პროექტის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის მშენებლობა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების გამოყენებით.

განსახილველად წარმოდგენილია ქ. თბილისში მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. IV კლასის შენობა-ნაგებობა. ტერიტორიის ფართობია -2472,0 კვ.მ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N32-ში, (ს.კ 01.19.36.014.422).

ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთით მდებარეობს გზა. ტერიტორია ხასიათდება მცირედი ქანობით.

პროექტი ითვალისწინებს, მოცემულ ტერიტორიაზე, ერთი 16 სართულიანი შენობის აშენებას; ფუნქციით მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა 88% საცხოვრებელი 12% საზოგადოებრივი ფუნქციით.

-1 სართულზე (ნიშნული-3.30) განთავსებულია შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი და ტექნიკური სათავსები, მიწისპირა სართულზე კომერციული სართულია მოწყობილი, ასევე ხანძრის მართვის ცენტრი და მრიცხველების ოთახი. +4,50 ნიშნულზე მდებარეობს სასტუმროს 4 ნომერი. +4,50 დან +50,70 ნიშნულამდე დათმობილი აქვს ტიპიურ საცხოვრებელ ბინებს.

ავტოსადგომებში შესვლა და გამოსავლა ხდება დასავლეთის გზის მხრიდან სამანქანე პანდუსის გამოყენებით. შენობაში არის 49 დახურული ავტოსადგომი, ხოლო შენობის გარეთ ერთი ავტოსადგომი შშმ პირთათვის. ავტოსადგომები უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით. მათ შორის შშმპ პარკინგით და მიკროავტობუსისთვის (მიწისპირა სართულზე) მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცით; აღნიშნული პარკირება აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს;

შენობაში არის სულ 17 სართული, აქედან ერთი მიწისქვეშა სართული (ავტოსადგომები) და 16 მიწისზედა სართული, მიწისპირა 1 სართული ეკუთვნის სავაჭრო ფართებს. საცხოვრებელი ბინები განთავსებულია 15 სართულზე, ხოლო სასტუმროს ნომერბი 1 სართულზე. სც ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი ერთეულები, ა ტიპის ერთეულები და ბ ტიპის ერთეულები 1107.6.1 – 1107.6.4 ქვეთავების შესაბამისადაა განთავსებული.

მრავალბინიან შენობებში საცხოვრებელი ერთეულები (მუდმივი საცხოვრებელი ერთეულები, ბინები) დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, „ა“ ტიპის ერთეულად ან „ბ“ ტიპის ერთეულად მოწყობა.

საცხოვრებელი ბინა - +4,50 ნიშნულზე 7 ბინა, ხოლო დანარჩენ ტიპიურ სართულებზე (სულ 161 ბინა), 1107.6.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად, სც-2 დაკავებულობებში გათვალისწინებულია „ა“ ტიპის ბინა 2%, ჯამში 4 ბინა (სართულზე ერთია, შესაბამისად 4 სართული).

სასტუმროს ნომრები- სც-1 - სართულზე 4 ნომერია, „ა“ ტიპის ბინა საჭიროა 2%, შესაბამისად გათვალისწინებულია 1 ნომერი 1107.6.1.1 ქვეთავის შესაბამისად და შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტების მე-11 თავის ქვეთავებს.

შენობაში „ა“ ტიპის ნომრისა და ბინების გარდა, სხვა დანარჩენი საცხოვრებელი „ბ“ ტიპისაა 1107.6.2 და 1107.6.3 ქვეთავების შესაბამისად.

შენობის ბრტყელ სახურავზე განლაგებულია ლიფტების სამანქანო განყოფილება;

შენობას აქვს ორი კიბის უჯრედი და 2 ლიფტი, ორივე სახანძრო, რომელსაც ყველა სართულზე გააჩნია ფოიე. ფოიეები არის დაწნევადი. ლიფტები არის მისაწვდომი სვლაგეზის შემადგენელი კომპონენტი. ლიფტის შახტაც ასევე დაწნევადია. ლიფტთან დატანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). შენობაში გათვალისწინებულია შშმპ მისაწვდომობის ყველა მოთხოვნა;

ფასადი მოპირკეთებულია თეთრი ფერის კომპოზიტური პანელით, მინის მოაჯორებით და ალუმინის ვიტრაჟებითა და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით; შენობის შიდა ნაწილის ფასადების ფორმირებისას გამოყენებულია: მაღალხარისხიანი დეკორატიული ლესვა-ღებვა.

კომერციულ ფასადზე გამოყენებულია ალუმინის ვიტრაჟები. საცხოვრებელი ბინების ფანჯრები და ვიტრაჟები კი მეტალოპლასტმასისაა.

იგეგმება ტერიტორიის კეთილმოწყობა მწვანე ნარგავების დამუშავებული დენდრო-პროექტის შესაბამისად.

პროექტის ძირითად მზიდ სტრუქტურას წარმოადგენს რკინაბეტონის მონილითური კარკასი. სართულშუა გადახურვად მოეწყობა ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილა, რომელზეც მოეწყობა თბოსაიზოლაციო შრე, მოჭიმვა, და იატაკის მოპირკეთება. გადახურვად გათვალისწინებულია:

- გაძლიერებული ბეტონის ფილა
- მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით 15-130 მმ
- პემზის მსუბუქი შემავსებელი
- წყალგაუმტარი საფარი
- გეოტექსტილი ტერამ 1000
- თბოიზოლაცია
- გეოტექსტილი ტერამ 1000
- გამყოფი მემბრანა
- ხრეშის ფენა
- ხრეშის ფრაქცია

საფასადე კედლებისთვის გამოყენებულია სამშენებლო ბლოკი. შიგა ტიხრები ამოყვანილია წვრილი სამშენებლო ბლოკით.

პროექტის მიხედვით შენობის აბსოლუტური ნიშნული არის 539,40, რომელიც შეესაბამება შენობის პირველი (კომერციული) სართულის + 0.00 ნიშნულს.

საპროექტო შენობა, სიმაღლის, დაკავებულობის ფართობის და სტრუქტურული ელემენტების ცეცხლმედეგობის მიხედვით შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება **I-A** კონსტრუქციის ტიპს.

საპროექტო შენობა აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მოთხოვნილია №41 დადგენილებით:

1. 907.2.9.1 ქვეთავის თანახმად საჭირო **სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა,** რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის მიხედვით განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2. 907.2.11.2 ქვეთავის თანახმად საჭირო **კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები,** რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
3. 907.2.13.1.1 და 907.2.15 ქვეთავების მიხედვით საჭირო **კვამლის ავტომატური აღმომჩენები,** რომლებიც განთავსებულია სახანძრო ტუმბოს ოთახში, ლიფტის ფოიეებში და ლიფტის სამანქანოებში, აგრეთვე დერეფნებში, შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებში (კიბის უჯრედების შესასვლელებთან), სავაჭრო და საოფისე სივრცეებში;

4. 403.4.4 ქვეთავის მიხედვით საჭირო **საგანგებო ხმოვანი განგაშის სისტემა**, რომლის რადიოგამოძახების ზონები, 907.5.2.2 ქვეთავის თანახმად, მოწყობილია გასასვლელის გზა-კიბეებზე, ასევე ყოველ იატაკზე/სართულზე (მათ შორის ლიფტებთან ახლოს);

5. **სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა,** რომელიც მოწყობილია სავაჭრო და საოფისე ფართობებში, დერეფნებში და ავტოსადგომ გარაჟებში;

6. 907.2.13.2 ქვეთავის თანახმად, მაღლივ შენობაში უნდა მოეწყოს 911.1 ქვეთავით გათვალისწინებული **ხანძრის მართვის ცენტრი** და 907.2.13.2 ქვეთავით გათვალისწინებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან კავშირის სისტემა, რომლითაც ხანძრის მართვის ცენტრი უნდა უკავშირდებოდეს ლიფტებს, ლიფტების ფოიეებს, სახანძრო ტუმბოების ოთახს და შემოზღუდული გასასვლელის გზა-კიბეებს. სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან კავშირის სისტემის მოწყობილობა, 907.2.13.2 ქვეთავის თანახმად, გათვალისწინებულია შემოზღუდული გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, ყოველი იატაკის დონეზე;

7. -3,30 ნიშნულზე გათვალისწინებულია სახანძრო ავზისა და ტუმბოების ოთახი;

8. შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში (სწ-2), სავაჭრო სივრცეებში (სვ), გარდა სც-1 და სც-2 დაკავებულობებისა, გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

9. შენობას გააჩნია **სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებელი**, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

10. საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია, აგრეთვე **ერთი სახანძრო ჰიდრანტი**. ყველა ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობას და შემდგომ ზედამხედველობას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური და სახანძრო სისტემების სპეციალისტები.

❖ დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის სანებართვო დოკუმენტაცია ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით (შემდგომში მოხსენიებული როგორც წესები) განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავის** მოთხოვნებს.

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **სწ-2,** საცხოვრებელი **სც-1**, საცხოვრებელი **სც-2,** სავაჭრო **სვ** და დამხმარე **დს** ჯგუფის დაკავებულობები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -3.30 ნიშნულზე განლაგებულია **სწ-2** და **დს** ჯგუფის დაკავებულობა, 0.00 ნიშნულზე განთავსებულია **სვ** ჯგუფის დაკავებულობა, +4,50 ნიშნულზე განთავსებულია სც-1 ჯგუფის დაკავებულობა, ხოლო +4,50-დან +50,70 ნიშნულის ჩათვლით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მოწყობა ჯგუფით **სც-2.**

თითოეული ჯგუფის დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა ინდივიდუალურად არის შეფასებული წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე კერძოდ:

1. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (შემოზღუდული ავტოსადგომი-**3,30, 311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი: შემოზღუდული ავტოსადგომის გარაჟისთვის 18,6 (ავტოსადგომი გარაჟები) წესების **1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

საპროექტო შენობის **-3,30** ნიშნულზე მდებარე სართულზე **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს ჯამურად **73 დამკავებელს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის ფარგლებში მოქცეული და მის გვერდით მდებარე დამხმარე ოთახები, ფუნქციიდან გამომდინარე შეესაბამება წესების **508.2 ქვეთავის** მოთხოვნებს დამხმარე დაკავებულობებთან დაკავშირებით და აკმაყოფილებს წესების **508.2.1, 508.2.2, 508.2.3 და 508.2.4 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო **(სწ-2)** და სავაჭრო ჯგუფი **(სვ)** დაკავებულობა ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობითა, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, ასევე აკმაყოფილებს წესები **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე და სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმს - 2.4X5.50 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, -3.30 ნიშნულზე მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში შესვლა და გამოსვლა ხორციელდება 5-6 ღერძებს შორის მდებარე საავტომობილო პანდუსუს მეშვეობით, საავტომობილო გზის სიგანე შეადგენს მინიმუმ 3,50მ მეტრს.

ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია წესების **406.9.4.3 ქვეთავით** განსაზღვრული 5.5-მეტრიანი გასავლელი, რომელიც თავისმხრივ მოიცავს მინიმუმ 3.50 მეტრიან. საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი შენობის მიწისქვეშა, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი წესების **406.6.2 ქვეთავის** მიხედვით აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით, ხოლო წესების **406.6.3 ქვეთავის** მოთხოვნის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემით.

2. დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს -3.30 ნიშნულზე განთავსებული სახანძრო ტუმბოებისა და ავზის ოთახები; აღნიშნული შეესაბამება 312.1-ქვეთავს;

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი სახანძრო ტუმბოს ოთახები და სახანძრო ტუმბოები აკმაყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნას ოთახების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნული ოთახები და ტუმბოები უნდა აკმაყოფილებდეს წესების **913 ქვეთავის** ყველა მოთხოვნას. ფართობის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს ჯამში **2** დამკავებელს.

3. სავაჭრო ჯგუფის (სვ) დაკავებულობა (საცალო და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიები 0.00 ნიშნულზე და ხანძრის მართვის ცენტრი და მრიცხველების ოთახი) წესების **309.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებსა და ნაგებობებს ან მათ ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.

სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **2.8 და 27,9** (სავაჭრო-კომერციული მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკების ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და კომერციული ფართობის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს ჯამში **350** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ

მოთხოვნები, სავაჭრო ჯგუფის **(სვ),** მის ზედა და ქვედა სართულზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1 და სც-2)** და სასაწყობო ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი სც-2 წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა სც-2 მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

პროექტის მიხედვით **+4,50 დან +50,70** ნიშნულებზე განთავსებულ სართულებზე სც-2 დაკავებულობა.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ

ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე **2,70** მეტრი), წესების **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 3.00 მეტრი) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 48,3 კვ.მ), ყველა ბინაში გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი არანაკლებ 14 კვ.მ. ფართობის მქონე ოთახი, ასევე საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6**, წესების **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო **დაკავებულობის დატვირთვა 21** შედგენს.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი (სასტუმროს ნომერი) ერთმანეთისაგან და საცხოვრებელი ბინებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი წესების **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6**, წესების **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო **დაკავებულობის დატვირთვა 526** შედგენს.

თითოეული საცხოვრებელი ფართობი (ბინა) ერთმანეთისაგან და სასტუმროს ნომრებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი წესების **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

❖ 2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით),

შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის ჩარჩოებ-კავშირიანი კარკასული სისტემა), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი, მრავალშრიანი გადახურვით) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს**, ხოლო სახურავის და სართულშუა გადახურვის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება/აღემატება **601 ცხრილში I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

❖ 3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-A)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე და სართულიანობა **სწ-2, დს, სვ, სც-1 და სც-2 ჯგუფების** დაკავებულობებისთვის შეუზღუდავია,წესების **503 ცხრილის** მიხედვით სართულის დასაშვები ფართობი **სწ-2, სვ, სც-1, სც-2** ჯგუფების დაკავებულობებისთვის ასევე **შეუზღუდავია.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის შემოთავეზებული სართულიანობა მიწის დონიდან **16 სართული** (მიწისქვეშა ერთი სართული). საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სიმაღლე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული „მიწის დონის ნიშნულიდან (+0.28) შეადგენს **50, 52 მეტრს,** ხოლო საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი გზიდან **+50,70 მეტრზე.** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის -3,30 ნიშნულზე განთავსებულია, **სწ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობები, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს **1360,5 კვ.მ-ს. +/-0.00** ნიშნულზე განთავსებულია **სვ ჯგუფის** დაკავებულობა, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს **1020,0 კვ.მ-ს.** საპროექტო შენობის +4,50 ნიშნულზე განთავსებულია **სც-1** (სასტუმროს ნომრები) ჯგუფის დაკავებულობა, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს **385,9 კვ.მ-ს. +4,50 დან +50,70** ნიშნულებზე განთავსებულია **სც-2** ჯგუფის დაკავებულობა, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს **9786,1 კვ.მ-ს.** საპროექტო შენობის **-3,30** ნიშნულზე განთავსებულია, **დს** ჯგუფის დაკავებულობა, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს **66,0 კვ.მ-ს.,**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503-ცხრილის მოთხოვნებს.**

❖ 4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან

გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **მე-10 თავის** შესაბამისად. ვინაიდან შენობა ნაგებობა მთლიანად არ არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით **ჩიხურ დერეფნები არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს 1018,4 ქვეთავის შესაბამისად.** დერეფნის მინიმალური სიგანე **1018.2** ქვეთავის შესაბამისად საცხოვრებელი ერთეულის საზღვრებში მინიმუმ 90 სმ. უნდა იყოს, პროექტით მინიმალური სიგანე გათვალისწინებულია 1,40მ.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, 1021.2 (1) და 1021.2 (2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს, თითოეულ ბლოკს ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კიბე და მინიმუმ 10 შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1027 ქვეთავის** მიხედვით, მიწისპირა სართულზე სრულდება შენობიდან გამოსასვლელებით;

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიწის დონის ქვედა სართულზე (-3,30 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სწ-2 ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(73 დამკავებელი)** გამომდინარე, მოეთხოვება 2 გასასველი გზა კიბე და ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მიწის დონის ქვედა სართულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობას **(სვ ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(351 დამკავებელია)** გამომდინარე მოეთხოვება 2 გასასველი გზა კარი და საპროექტო გადაწყვეტით ემსახურება თითოს მინიმუმ 2 გასასლველი კარი.

მიწისპირა სართულზე მოწყობილი გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის მე-2 დან 16 სართულის ჩათვლით სართულს (+4,50 დან +50,70 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობას **(სც-1 და სც-2 ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან **(547 დამკავებელი),** გამომდინარე სართულზე მოეთხოვება თითოეულს 2 და ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს. გასასვლელების რაოდენობა და განთავსება აკმაყოფიელბს წესების **1015.1 და 1015.2 ქვეთავის,** ასევე **1021.1 და 1021.2** ქვეთავების მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია წესების **1007.3 ქვეთავის** მოთხოვნები გზა-კიბეების სიგანესთან დაკავშირებით და **1007.6 ქვეთავის** მოთხოვნები თავშესაფრის ფართობთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ერთზე მეტი გასასვლელი, შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით დაშვებული გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი **სწ-2 ჯგუფის** დაკავებულობისთვის შეადგენს **120 მეტრს** და სვ და **ჯგუფის** დაკავებულობებისთვის შეადგენს **60** მეტრს, ხოლო **სც-1 და სც-2 ჯგუფის** დაკავებულობებისთვის შეადგენს **60** მეტრს, რაც საპროექტო დოკუმენტაციის

მიხედვით დაცულია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ერთზე მეტი გასასვლელი და ქვეთავი **1014.3** მიხედვით გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი საშხეფი სისტემით 30 დაკავებულობაზე მეტისათვის და დახურულ ავტოსადგომისათვის **სწ-2** ჯგუფისათვის შეადგენს 23 მ-ს, რადგან შენობა მთლიანად არ არის აღჭურვილი ავტოსაშხეფით; **დს, სვ, სც-1 და სც-2** ჯგუფისათვის შეადგენს 23 მეტრს საშხეფი სისტემის გარეშე.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 1 და 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკმაყოფილებს ყველა ძირითად მოთხოვნას,რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

1027.3 ქვეთავის შესაბამისად შენობიდან გამოსასვლელის კომპონენტები საკმარისად გახსნილია გარე მხარისაკენ, რომ კვამლისა და მომწამვლელი აირების დაგროვების შესაძლებლობა, სულ მცირემდე შემცირდეს.

1027.4 ქვეთავის შესაბამისად გასასვლელის შიგა ეზოები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში შენობიდან გამოსასვლელის ნაწილია, აკმაყოფილებს 1027-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: გასასვლელის შიგა ეზოების მინიმალური სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ არ უნდა იყოს 1,1 მ-ზე ნაკლები, შესაბამისად პროექტში ყველაზე მცირე მანძილი შენობის მტავარი გამოსასვლელია, რომელიც ვიქტორ კუპრაძის გზის მხარეს გამოდის და მისი ზომა 2,37 მ-ია. გასასვლელის შიგა ეზოების აუცილებელი სიგანე ჩაუხერგავი უნდა იყოს 2,15 მ სიმაღლემდე, ხოლო პროქტით გათვალისწინებულია ცენტრალური გამოსასვლელის წინ (ვიქტორ კუპრაძის ქუჩის მხრიდან) მინიმალური სიმაღლე 2,50 მ-ია და **1027.4.1** ქვეთავის შესაბამისად გასასვლელის შიდა ეზო სიმაღლითა სა სიგანით არ არის აუცილებელ მინიმუმზე რაც შეეხება შენობიდან გასასვლელი, რომელიც მდებარეობს შენობი უკანა ნაწილში, ეზოს მხარეს, ის პირდაპირ ვრცელ ეზოში გადის და აღმატება სიმაღლისა და სიგანის აუცილებელ მინიმალურ ზომებს. ნაკლები. ასევე, **1027.5 ქვეთავის** შესაბამისად შენობიდან გამოსასვლელი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს.

1208.2 ქვეთავის შესაბამისად, დასაკავებელი სივრცეების, საცხოვრებელი სივრცეებისა და დერეფნების ჭერის სიმაღლე არ უნდა იყოს 2,3 მ-ზე ნაკლები. შესაბამისად ტერასაზე გასასვლელი კიბის უჯრედისა და ფოიეს სიმაღლე გადახურვის ფილიდან ჭერამდე მინიმუმ 2,30მ-ს შეადგენს.

❖ 5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(74 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1 მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1.1 მეტრი - თითოეული გზა-კიბისთვის)** მეტი **მინ**. **1.20 მეტრი** სიგანის გზა-კიბეები მოაჯირებს შორის, ხოლო კონსტრუქციით 1,40 და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-

კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბეების ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე თითოეული გზა-კარისთვის შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს **0,82 მეტრს.** ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის დამცავების ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

გზა-კარი გზა-კიბეში იჭრება მაღლივი შენობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დაკავებულობების მომსახურე დერეფნების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების **1018.2** ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(3,8).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1,2 მ)** მეტი სიგანის დერეფანები მინიმუმ **1.6 -1.35 მეტრი.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში არსებული ჩიხური დერეფნები არ აღემატება 6 მეტრს და აკმაყოფილებს წესების **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-სასაწყობო, სავაჭრო და საცხოვრებელი ფართობებზე) რაოდენობა (**1021** ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008** ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (**1004** ქვეთავი) და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (**3.8** მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

შენობაში დაცულია დერეფნების უწყვეტობა შესაბამისად, ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფნები უწყვეტი უნდა იყოს მასში შესასვლელიდან გასასვლელამდე და მას არ უნდა კვეთდეს შუალედური ოთახები, შესაბამისად საპრეოქტო გეგემბი აკმაყოფილებს 1018.6 ქვეთავის მოთხოვებს;

6. მისაწვდომობის შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა

და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-11 **თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი. საპროექტო შენობის მიწისქვეშა და მიწის დონის ზედა სართულებზე მისაწვდომობა სამგზავრო ლიფტების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებენ წესების **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს და მათში შესაძლებელია საკაცის განთავსება. აღნიშნული ლიფტები წესების **909.21 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით, ლიფტები დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს მე-17 თავის ყველა აუცილებელ მოთხოვნას საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -3.30 ნიშნულზე მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში გამოყოფილია ავტოსადგომი ადგილი შეზღუდული შესაძლებელობის მქონე პირისთვის წესების **1106.1 ცხრილის** შესაბამისად.

სც-1 და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია **1107.6.2.1.3 ქვეთავის** მიხედვით, სადაც შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირები ხვდებიან, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებთან არსებული ლიფტების მეშვეობით, რომელებიდანაც ყველა მისაწვდომია, მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

საპროექტო შენობის გამოსასვლელის დონეზე (+0.00 ნიშნულზე) მდებარე ორივე მთავარი შესასვლელი, ასევე სავაჭრო ფართობების შესასვლელები, არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს როგორც 1104.1, ასევე 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს. შშმ პირთა შენობაში შესვლა-გამოსვლა შესაძლებელია პირდაპირ მიწის დონიდან და ამიტომ პანდუსების მოწყობის აუცილებლობა არ არის. ზემოთ აღნიშნული მთავარი შესასვლელები ამავე დროს წარმოადგენს აუცილებელ მისაწვდომ გასასვლელ საშულებებსაც, რაც აკმაყოფილებს 1007.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობის ყველა სართულს აკავშირებს 2 ლიფტი, რომელთა კაბინის ზომები არის მისაწვდომი, აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს (იხ. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება) და შესაბამისად შენობის ყველა სართული მისაწვდომია და გააჩნია მინიმუმ ერთი მისაწვდომი სვლაგეზი, რაც აკმაყოფილებს 1104.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

ვინაიდან შენობის ყველა სართულს ესაჭიროება ერთზე მეტი გასასვლელი საშუალება, 1007.1 ქვეთავის მიხედვით, საჭიროა თითოეულ სართულზე მოეწყოს არანაკლებ 2 მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რომლიდანაც ერთი აუცილებლად უნდა იყოს ლიფტი (1007.2.1 ქვეთავი), რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ:

შენობის სართულებს ემსახურება 2 მისაწვდომი ლიფტი და მისაწვდომი გზა-კიბეები. რადგანაც შენობა მთლიანად არ არის აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.4 ქვეთავის ლიფტების ფოიეს მოეთხოვება მისაწვდომობა თავშესაფრის ფართობი რომელიც აკმაყოფიელბს 1007.4 ქვეთვის მოთხოვნებს. ასევე გზა-კიბეებიის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის არის 1.20 მეტრი, ასევე საჭიროებს თავშესაფრის ფართობებს, რაც პროექტში გათვალისწინებულია გზა-კიბის ვესტიბიულში. ე.ი. საპროექტო შენობის ორივე ბლოკს ყველა სართულს გააჩნია მინიმუმ 2 მისაწვდომი გასასვლელი საშუალება გზა-კიბეების სახით, ლიფტების გარდა.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად: **“1-6 და 6-1“** ღერძებში და მდებარე ფასადის

კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 9 მეტრზე მეტია და წესების 602 ცხრილის მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფას. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად: **დ'-ა და ა'-დ** ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი მერყეობს 0,25-4,19 მეტრის ფარგლებში და წესების 602 ცხრილის საჭიროებს გარე კედლების 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც უზრუნველყოფილია კედლის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე და ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 1 საათს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად, გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

❖ 8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება **I-A** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1.5 სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი, მარავლშრიანი (ქანობით მინიმუმ 2%). გადახურვის კონსტრუქციის შემადგენლობა:

- გაძლიერებული ბეტონის ფილა
- მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით 15-130 მმ
- პემზის მსუბუქი შემავსებელი
- წყალგაუმტარი საფარი
- გეოტექსტილი ტერამ 1000
- თბოიზოლაცია
- გეოტექსტილი ტერამ 1000
- გამყოფი მემბრანა
- ხრეშის ფენა
- ხრეშის ფრაქცია

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი 1505.1 ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია წესების **1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM D 3909 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია შიგა გასასვლელის გზა-კიბეებით, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.16 ქვეთავის** მოთხოვნებს. სახურავი ბოლოვდება **705.11.1 ქვეთავის** მიხედვით მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით მიუხედავად იმისა, რომ **705.11 ქვეპუნქტის მე-3**

გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

❖ 9. ხანძრის მართვის ცენტრი

ისეთ შენობაში, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, უნდა მოეწყოს ხანძრის მართვის ცენტრი სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მუშაოებისათვის, **9011.1.1 – 911.1.5** ქვეთავების შესაბამისად.
ხანძრის მართვის ცენტრი დანარჩენი შენობისგან უნდა გაიმიჯნოს არანაკლებ, 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, რომელიც აგებულია 707-ე ქვეთავის შესაბამისად ან თარაზული ანაწყობით, რომელიც გამიჯნულია 711-ე ქვეთავის შესაბამისად, ან ორივეთი ერთად **911.1.2** ქვეპუნქტის შესაბამისად.
9111.1.4 ქვეპუნქტის თანახმად ოთახის ფართობი უნდა იყოს, სულ მცირე, 19 მ2, ხოლო მინიმალური ზომა - 3,0 მ. პროექტით ფართობი შესდგენ 22,5 კვ.მ, ხოლო მინიმალური ზომა 3,0 მ.-ა.

❖ 10. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 5 შერეული დაკავებულობა **სწ-2, სვ, დს, სც-1 და სც-2** ჯგუფების სახით.

სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, სახანძრო ტუმბო წყლის რეზერვუარის, **-3,30** ნიშნულზე), **სვ** (საცალო და საბითუმო ვაჭრობის მაღაზიები, ხანძრის მართვის ცენტრი და მრიცხველების ოთახი **+/-0.00** ნიშნულზე), **დს** (დამხმარე და ტექნკური სათავსები -3,30 ნიშნულზე), **სც-1** (სასტუმროს ნომრები +4,50 ნიშნულზე), **სც-2** (საცხოვრებელი ერთეულები +4,50 დან +50,70 ნიშნულამდე) ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედელბით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა და ბეტონის ბლოკის კედლები.
